

სტვენია ენა
ავტორი: ბელა ლაგვილავა
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის გეგმა აგებულია კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებზე, კერძოდ სამფაზიან მოდელზე და მიზნად ისახავს საგაკვეთილო პროცესში მედიაწიგნიერების კომპეტენციის განმავითარებელი აქტივობების ინტეგრირებას.

ამ თემის დაფარვას დასჭირდება 2 გაკვეთილი.

ეს დრო სარეკომენდაციოა და მასწავლებელი კლასის მახასიათებლების გათვალისწინებით განსაზღვრავს თემის დაფარვისთვის საჭირო დროს.

გეგმაში მოცემულია მასწავლებლის მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები:

- ტექსტის შესამოწმებელი ინტერაქტიური ტესტი <https://learningapps.org/5464319>
- კომიქსები <https://padlet.com/belalagvilava/89an26th4lt7>

საგანი ქართული ენა

კლასი: III

თემა: „სტვენია ენა“

გაკვეთილის სასწავლო და მედიაწიგნიერების მიზნები:

მოსწავლე შეძლებს:

- მცირე ზომის საინფორმაციო ტექსტების გაგება/გააზრებას
- ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობით
- წაკითხულის გარშემო მსჯელობას
- მედიაში გავრცელებული ინფორმაციების შედარებას, ანალიზსა და შეფასებას.
- ილუსტრაციების მიხედვით კომიქსის შექმნას - დიალოგის წერილობით გადმოცემას

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი:

მიმართულება: ზეპირმეტყველება

ქართ. III. 2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.

- ყვება მოსმენილი ტექსტის შინაარსს;
- ავლებს პარალელს მოსმენილ ტექსტში ასახულ ამბავსა და პირად გამოცდილებას შორის;

ქართ. III. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებულ ტექსტებში ინფორმაციის მოძიება და გაგება (მაგ., საინფორმაციო ტექსტისა საბავშვო ენციკლოპედიაში, მარტივი ენით დაწერილი მრავალსაფეხურიანი ინსტრუქციების, განცხადებისა და სხვ.).

- ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;

სტვენია ენა

ავტორი: ბელა ლავგილავა

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

- ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნები.

ქართ. III. 13. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.

- იყენებს დიალოგის გაფორმებისთვის საჭირო ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს (ზმნის II პირის ფორმებს, პუნქტუაციის ნიშნებს);

წინასწარი ცოდნა და უნარები:

მოსწავლეებმა იციან:

- ახალ ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა,
- კომიქსებზე მუშაობა,
- ონლაინ რეჟიმში learningapps -ში სასწავლო რესურსზე მუშაობა.

გამომუშავებული აქვთ:

- ჩუმი/დამოუკიდებელი კითხვის უნარი,
- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობისა და თანამშრომლობითი უნარები

აქტუალობა

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას კუნძულზე, სადაც ადილობრივი მოსახლეობა იყენებს არაჩვეულებრივ ენას კომუნიკაციისთვის. ინფორმაციის სანდოობისთვის მოსწავლეები მოიძიებენ მასალას სხვა წყაროებიდან, შეადარებენ სხვადასხვა ინფორმაციას, გააანალიზებენ და შეაფასებენ. ტექსტის გააზრებისთვის მოსწავლეები იმუშავებენ ონლაინ რესურსზე, კომიქსის შექმნისას გამოუმუშავდებათ შემოქმედებითი და წერის უნარები.

მოსწავლეები გაკვეთილზე იმუშავებენ ინდივიდუალურად და შერეულ ჯგუფებში.

სასწავლო მასალა და რესურსები:

- საკითხავი ტექსტი მოსწავლეებისთვის <https://goo.gl/PBTAvp>
- ვიდეო: კანარის კუნძულებზე სტვენით ლაპარაკობენ <https://www.youtube.com/watch?v=PgEmSb0cKBg>
- საშინაო დავალება,
- ფლიფჩრტის ფურცელი, მარკერი,
- მოსწავლის ბუკები,
- მასწავლებლის ბუკი

სტვენია ენა

ავტორი: ბელა ლაგვილავა

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

გაკვეთილის მსვლელობა

I ფაზა - წაკითხვამდე/ გამოწვევა

მისაღმების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს გარემოში არსებულ ხმებთან დაკავშირებით.

სავარაუდო კითხვები:

რომელი ხმები გესმით ყოველდღე?

რომელია ყველაზე უცნაური ხმა?

შემდეგ დაფაზე აკრავს ფლიფჩარტის ფურცელზე დახაზულ სქემას, სასურველია სქემაში

ჩააწებოთ ცხოველებისა და ფრინველების ფოტოები.


გთავაზობთ სქემის „ცოცხალი არსება და ხმები“ ნიმუშს:

არსებები	ხმები
ცხენი 	ჭიხვინებს
შაშვი 	----- -----
თხა 	----- -----
წრუწუნა 	----- -----
ადამიანი	

სტვენია ენა

ავტორი: ბელა ლაგვილავა

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი



მასწავლებელი მოსწავლეების პასუხის მიხედვით ავსებს ცხრილს და სვამს დამტებით კითხვებს:
რატომ გამოსცემენ ხმებს ადამიანი და ცხოველები?
კიდევ როგორი ხმების გადმოცემა შეუძლია ადამიანს? (მასწავლებელი მოსწავლეებს
მინიშნებებით მიიყვანს სტვენამდე.)

აქტივობა 2. ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა

მიზანი - ლექსიკური მარაგის გამდიდრება,

აღწერა - მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის მიზანს.

მასწავლებელი დაფაზე გააკრავს საკვანძო სიტყვებს და მოსწავლეებთან ერთად ხსნის რამდენიმე
სიტყვის მნიშვნელობას.

სილბო -

გომერა-

გუანჩები -

დაზოგვა -

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის უცხო სიტყვებს.

II ფაზა - კითხვის დროს/ ცოდნის აგება

აქტივობა 3. ტექსტის კითხვა წყვილებში

აღწერა - მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ტექსტის ფურცლებს. იყენებს საჩვენებელ კითხვას:

მოსწავლეებს წაუკითხავს ტექსტის მცირე მონაკვეთს. შემდეგ აძლევს ინსტრუქციას: ტექსტი

წაიკითხო (გამოიყენონ ჩუმი კითხვის სტრატეგია), გახაზონ მათთვის გაუგებარის სიტყვები და

დასახმარებლად მიმართონ მასწავლებელს (რისთვისაც გამოიყენონ „შუქნიშნები“. (შუქნიშნები

მრგვალი ფორმის ბარათებია სამი ფერის: წითელი ფერი - ვერ ვასწრებ/ვერ დავასრულე, ყვითელი

- ვერ გავიგე/პრობლემა მაქვს, მწვანე - დავასრულე)

აქტივობა 4. ტექსტის გაგება

მოსწავლეები ასრულებენ საკითხავ მასალაზე დართულ დავალებებს (რუბრიკები: „ტექსტის
გაგება“, „ლექსიკა“, „გრამატიკა“).

მასწავლებელი ყოველი დავალების შემდეგ აჯამებს შესრულებულ სამუშაოს.

სტვენია ენა

ავტორი: ბელა ლავგილავა

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

Learningapps - ში მუშაობა



აღწერა - (გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს გაუზიარებს ინტერნეტ კავშირს, მოსწავლეების ბუკები ჩართულ მდგომარეობაშია) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გახსნან მითითებული ვებგვერდი

<https://learningapps.org/5464319> და დაიწყონ თამაში „ვიქტორინა“, რომელიც შედგენილია ახალი მასალის მიხედვით. მოსწავლეთა წყვილები კითხვებს პასუხობენ, მასწავლებელი ამ დროს აკვირდება მათ მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება წყვილებს.

აქტივობა 5: მედიაწიგნიერების კითხვები

მასწავლებელი სვამს მედიაწიგნიერების კითხვებს.

კითხვა: მოძებნეთ ფურცელზე, აწერია თუ არა, ვინ არის ავტორი?

სავარაუდო პასუხი: არა. ეს მხოლოდ 1 ფურცელია, შეიძლება წიგნის ყდაზე ეწეროს.

კითხვა: ვინ შეიძლება იყოს ავტორი?

პასუხი: ვიკიპედიადან / ინტერნეტიდან არის.

კითხვა: რატომ დაიწერა ეს სტატია?

პასუხი: იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს სტვენია ენის შესახებ / დაიცვან ეს ენა / ყველამ თავისი ენა დაიცვას.

კითხვა: შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორია ადგილი, სადაც სტვენია ენა არსებობს?

პასუხი: კი, რადგან ფოტოა ტექსტში, რომელზეც ჩანს სტვენია ადამიანი და გომერას მთები.

კითხვა: რას ფიქრობთ სტატიაზე?

პასუხი: დაუჯერებელია, მაგრამ სახალისოა.

კითხვა: იქნებ, არასწორია? როგორ გადავამოწმოთ?

პასუხი: უნდა მოვძებნოთ, სხვაც თუ წერს ამის შესახებ, ან ვიდეო თუ არის გადაღებული. (მასწავლებელი ამ პასუხამდე მიიყვანს მოსწავლეებს)

აქტივობა 5. ინფორმაციის გადამოწმება.

მოსწავლეთა - ორგანიზება ჯგუფური

დრო 10 წთ

მიზანი - ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, შედარება

აღწერა - მას შემდეგ რაც მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეთა პასუხებს, კლასს ყოფს 2 ნაწილად: მოსწავლეების ჯგუფები - რომელთაც სჯერა, რომ ტექსტში მოცემული ინფორმაცია სიმართლეა და მოსწავლეების ჯგუფები - რომელთაც ეჭვი ეპარებათ ამ ინფორმაციის სანდოობაში. მასწავლებელი მოსწავლეთა ჯგუფებს უთითებს ბმულს:

<https://www.youtube.com/watch?v=PgEmSb0cKBg>

სტვენია ენა

ავტორი: ბელა ლაგვილავა

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი



Whistled language of the island of La Gomera (Canary)

ვიდეოს ნახვის შემდეგ მოსწავლეები იტყვიან, დადასტურდა მათი ვარაუდი თუ შეიცვალეს აზრი. რატომ სჯერათ ან არ სჯერათ, რომ ინფორმაცია ნამდვილია.

შეჯამების სახით მასწავლებელი იტყვის, რომ ვიდეო UNESCO-ს მომზადებულია. ეს კი ის ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობას იცავს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია სანდოა.

შენიშვნა: ეს არის დოკუმენტური ვიდეო ინგლისურ ენაზე.

სასურველია მოსწავლეებმა ნახონ ვიდეოს ფრაგმენტი,

რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წთ-ს და ფრაგმენტში ნაჩვენებია ადამიანების საუბარი „სტვენით“. შეიძლება ეს ამონარიდი იყოს 4-7 წთ ფრაგმენტი.

აქტივობა 6. ინფორმაციების ანალიზი, შედარება

აღწერა- მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფლიფჩარტის ფურცელს, რომელსაც ავსებს მოსწავლეების პასუხებიდან გამომდინარე. მოსწავლეები მსჯელობას ამყარებენ არგუმენტებით, მოჰყავთ სათანადო ადგილები ტექსტებიდან, გამოყოფენ მთავარს, აფასებენ ინფორმაციას. აკეთებენ დასკვნებს. ეს სავარჯიშო მოსწავლეებს დაეხმარება მედია რესურსების ანალიზის უნარის განვითარებაში

დანართი ტექსტის ანალიზის ცხრილი

ფაქტები	3 რამ რაც მნიშვნელოვანია	2 რამ რაც საერთოა	1 რამ რაც განსხვავებულია
I ტექსტი			
II ვიდეო			
სანდოობა	ის რაც ადასტურებს ინფორმაციის სინამდვილეს	ის რაც ადასტურებს ინფორმაციის სიყალბეს	რისი გაგება შეგვიძლია საიდან შეგვიძლია
I ტექსტი			
II ვიდეო			

III ფაზა - რეფლექსია, განმტკიცება

აქტივობა 7. წერა - ამბის შექმნა

მასწავლებელი ყოფს ქვეჯგუფებად და სთავაზობს, თითოეულმა ქვეჯგუფმა მოიფიქროს ამბავი გომერას მცხოვრებლებზე. მას შემდეგ, რაც ამბავზე შეთანხმდებიან, მასწავლებელი ურიგებს ფურცლებს და სთხოვს, დახატონ მათი ამბების პერსონაჟები.

ყველა ქვეჯგუფი დანარჩენი კლასის წინაშე წარადგენს ამბავს და აჩვენებს პერსონაჟებს.

სტვენია ენა
ავტორი: ბელა ლაგვილავა
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი



შეფასება: მასწავლებელი გაკვეთილს აჯამებს : რა იყო მთავარი ამ გაკვეთილზე? რისი გარკვევა შევძელით? რასი დაგვცხმარება ინფორმაციის ამგვარად დამუშავება?
შეჯამების შემდეგ, მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს, ჯგუფებს, წყვილებს, აძლევს განმავითარებელ შეფასებას.

საშინაო დავალებად მოსწავლეებს შეიძლება მისცეთ შეავსონ კომიქსის „ღრუბლები“ სტვენია ენის ამბის მიხედვით.
კომიქსების შესაქმნელად მასწავლებელს შეუძლია სხვადასხვა მარტივი აპლიკაციის გამოყენება, რომელიც ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ (მაგ: <https://www.pixton.com/>)

ამ გაკვეთილისთვის მომზადებული კომიქსი განთავსებულია:
<https://padlet.com/belalagvilava/89an26th4lt7> .

კომიქსის ნიმუში:



შენიშვნა: კომიქსები ბავშვებმა შეიძლება შეავსონ გაკვეთილზე